იმერეთი

№ 23

წელიწადი მეოთხე

მისამართი: ქუთაისი რედაქცია გაზ. „იმერეთი“

ორშაბათი, 3 აგვისტო 1915 წ.

ფასი: წლიურათ 2 მ. 50 კ. ნახევარი წლით 1 მ. 50 კ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. საზღვარგარეთ [illegible]

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ.—უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 ივლისიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

გაზეთი გამოდის უქაღალდობის გამო დროებით კვირაში ერთხელ

გაზეთი ღირს:

1 წლ. 2 მ. 50 კ., 6 თვით 1 მ. 50 კ., 1 თვით 25 კაპ., საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი.

მისამართი: ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა, სტამბა „ძმობა“

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, Ред. „ИМЕРЕТИ“.

კ. ოცხელისა & ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

დამზადებულია მომავალი სასწავლო წლისათვის

დიდ-ძალი სახელმძღვანელო წიგნები,

[illegible]

გვერდით გამართულია დ. ოცხელის საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი.

1915 წ. 28 ივლისიდან. დაიწყო

იაფი ვაჭრობა

ფართლეულის ნაჭრობით და თოფობითაც.

რადგანაც დროისა გამო შეუძლებელია „ვიბორის“ შეგროვება მაღაზიაში,—ამისთვის დავნიშნეთ ერთდროულად **იაფათ გავყიდოთ, რაც ფართალი გვაქვს და მოვსპოთ ვაჭრობა.** ამიტომ ვაუწყებ პატივცემულ მყიდველებს **ისარგებლონ შემთხვევით.**

საქონელია სხვადასხვა: საზაფხულო—სუფთა და მჩალტე, უალნი, შალების; ამ ნაირივე უცხოეთის ძაფის, აჟური და, ვაფლინი ჩითები, საკასტუმეები ყოველ [illegible]ერის შალეული ქალისა და კაცის. აბრეშუმეული, სტოლის საფრები, ტულე[illegible]ი და ქალის შეკერილი პალიტოები და სხვადასხვა, (ფასები უვაჭროთ) ქუთაისი აზოვის ბანკის ქვედა სართული.

პატივისცემით პატარიძე.

† ვაჟა-ფშაველა.

გუშინ მიაბარეს ჩვენი დიდი მეორე სახალხო პოეტის, ვაჟა-ფშაველას, ნეშტი ცივ სამარეს.

ულმობელია წუთი სოფელი: არ დასცალდა პოეტს ენახა თავისი საყვარელი სამშობლოს უკეთესი დღეები. ჩაჰქრა მანათობელი ლამპარი, შესწყდა სიყვარულით აღსავსე და მუდამ მღელვარე გულის ცემა.

ვინ არის ვაჟა? რა ახასიათებს მის პოეზიას?

ვაჟა—ქართველ მთიელთა ღვიძლი შვილია, მის პოეზიაში მთის შვილთა გმირული სულია გაშოხატული.

ვაჟას ქნარიც, როგორც აკაკისა და ილია ჭავჭავაძისა, ბედკრული სამშობლოს ბედს მოსთქვამს და უგალობს.

„ხარს ვგევარ ნაიალალარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ: ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!—მძინარეც ამას ვდუდუნებ“.

თავის პოეზიას პოეტი შემდეგი მშვენიერი სიტყვებით ახასიათებს:

„მკვდარი ნუ ვისსა გგონივართ,
გრძნობა-მიხდილი ლეშია,
კიდევაც მიდუღს ვაჟასა
[illegible]ური სისხლი მკერდშია.
რაღა რას დავკარგავ იმედსა?
რად რას ჩავიცვამ შავებსა?
რა მაქვს მე სამგლოვიარო,
ვენაცვლე შენსა თვალებსა?!
სანამ კი ვსუნთქავ ბედ-კრული,
შევყურებ მზეს და მთვარესა,
შენს სიბეჩავეს დავაცვეთ
ჩემს დაწყლულებულ მკლავებსა.
თუ გიღალატო, დედაო,
ნუმც დავიმარხო მთაშია,
ნუ დასდევან ვაჟის-ფშაველსა
ხმალი სატირლის თავშია:“

იმავე დროს ის მოსთქვამს:

„არწივი ვნახე დაჭრილი,—
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყორნებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს გაფანტულს ველადა!“

და ამ ორ გრძნობას უმორჩილებს პოეტი ყველაფერს, რასაც კი აღწერს და მოგვითხრობს.

რა არის ვაჟას ეპოსის დედა აზრი? ეს მთიელის გამამხნევებელი მოწოდებაა: არ დაღაჩრდეთ, არ დაივიწყოთ მამაპაპური ვაჟკაცობა და გმირობაო. და მისი პოემების გმირები, გოგოთურ, ალუდა ქეთელაური და სხ. ამ გმირობის ცოცხალ მაგალითებს წარმოადგენენ.

და ვაჟას, როგორც ეპიკოსს, მოამბეს, უკანასკნელი ხნის ვერცერთი ჩვენი პოეტი ვერ შეედრება. მართლაც, ეპოსის შემქნელმა უნდა დაასურათოს უნაკლულოდ მოძრაობა და გმირობა. და, ვინც თვითონ არ არის მოძრავი და გმირი ის ტყვილა დაიჩემებს ამგვარი ეპოსის, შექმნას.

ამიტომ, მხოლოდ ვაჟაა ეპიკოსი, სხვა პოეტები კი ილია ჭავჭავაძიდან და აკაკი წერეთლიდან დაწყებული ა. შანშიაშვილამდისა და გრიშაშვილამდის—ლირიკოსები არიან.

ერთი გარემოებაც უწყობდა კიდევ ვაჟას ხელს: ის ფშავ-ხევსურეთში აღიზარდა და ცხოვრობდა. მთიელთა ცხოვრება კი საუკეთესო მასალას წარმოადგენს ეპოსისათვის.

ისინი მომთაბარენი, მწყესები, არიან, იქ არაოდეს თავად აზნაურობა არ ყოფილა და თავისუფალი, ლაღი და შეუდრეკელი ხასიათი უნაკლულოდ—მხოლოდ მათ-ღა შერჩათ. იქ დღესაც კიდევ იციან ერთმანეთზე თავდასხმა, სისხლის აღება და სხ. იქ თემს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს და თითოეული პირი თვითონვე უნდა იყოს თავისი სიცოცხლისა და ქონების დარაჯი და მცველი. ამგვარი ცხოვრება, ცხადია, საკვირველ გამბედაობასა და მამაცობას შობს. და თანამედროვე ქართული ეპოსის შემქნელი—სწორედ აქ უნდა დაბადებულიყო.

დიაღ! ვაჟა ჰომეროსის დროის ცხოვ- [illegible] მისი ეპოსი ჰომეროსისავე უკვდავ ქმნილებათ.

აიღეთ, მაგალითად, „გოგოთურ და აფშინა“. ეს პატარა მოთხრობა განა „ილიადის“ ჩამონატეხი არ არის? მოვიყვან ერთ ადგილს.

მეფობის დროს მცირე ხანს მშვიდობიანობა ჩამოვარდა. გოგოთურმა ნადავლი ველარ შემოიტანა და გაღარიბდა, და, თუმცა გმირია, მაგრამ ავაჟკაცობას მაინც მშვიდობიანი ცხოვრება არჩია. ცოლი ემდურის, რატომ აფშინასავათ არ მტაცებლობ და ოჯახს ალარაფერი შესძინეო. და აი რას ეუბნება მას გოგოთურ:

„ნეტავ რას ამბობ, დიაცო,
ჰკვას რად არ ატან სიტყვასა?
საქმე თუ გამოგლევია,
რატუ არ იტყვი იმასა?!
რად მინდა მაშინ სიცოცხლე,
ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა?..
შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ,
თოფისასა და ხმლისასა?
შენ უნდა საჩეჩლს ეჯდე
ან არა,—ჰქსოვდე წინდასა..
ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვ,
როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა“?

განა ეს ჰექტორის მიერ მისი ცოლისადმი მიმართულ გამოსათხოვარ სიტყვებს არ მოგვაგონებს?

აი რა ცოცხლად ასურათებს პოეტი გოგოთურის ვაჟკაცობას:

მეფესაც უთქვამს: „გოგოთურ
ათას კაცთანა ვადარე,
ათასგანა მყავს ნაცადი,
ათასგან ომში ვატარე;
გოგოთურს რკინის გული აქვს,
ჯანი ხო გადამეტია,
რამდენჯერ მარტომ შაბრტყის
მტერი ქვიშაზედ მეტია.
ომში სიკვდილს ჰჯავ გოგოთურ,
შეუბრალები, უკვდავი,
მტერსა ზარსა სცემს უზომოს,
როგორსაც სულთა-მხუთავი...
ისე აგორებს მტრის რაზმებს,
როგორც ნავს ტალღთა დენანი“...

ეს ადგილი მოძრაობის დასურათების მხრით ვეფხის ტყაოსნის საუკეთესო ადგილებს შეედრება.

აი კიდევ მეორე, შეუდარებელი სურათი გოგოთურის შინაური, მშვიდობიანი ცხოვრებისა:

„ვეება ჭანდარს გაიდებს,
წინწკრად გაიდებს მხარზედა,
ყალიონს პირით არ უშვებს,
მიიტანს თავის კარზედა;
ირემსაც დაედევნება
ყოფჩის გადაღმა კვალზედა.
შემოღამდება, შინ მიდის,
ჩამოუჯდება კერასა,
დაიწყებს შესაქცევრადა
დიდის ყალივნის წევასა,
ფანდურსაც დააჟღარუნებს,
თითს ააჩქამებს ბერასა.
ხანდახან დაიბუბუნებს,
ჰერი დაიწყებს ნძრევასა,
თან ფეხს დაუცემს ვაჟკაცი,
მიდამო იწყებს ნთქრევასა.

აქიდანა სჩანს, რომ ვაჟას, როგორც რუსთველს, შეუდარებელი ნიჭი აქვს მოძრაობის დასურათებასა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ჩამოქანდაკებაში.

იმავე დროს გოგოთურ კეთილშობილი რაინდია, ავკაცობას გაურბის და დამორჩილებულ ყაჩაღ აფშინას ჯერ ჰკუას ასწავლის და შემდეგ უძმობილდება.

მაშ, ვაჟას მთიდან ბარად—მივიწყებული რაინდობისა და კეთილშობილობის გრძნობანი მოაქვს.

დასასრულ, იმის ცხადსაყოფელად, რომ ვაჟა, როგორც ეპიკოსი და ბუნების მოძრაობის გამომხატველი, შეუდარებელი [illegible], მოვიყვან თითქმის მთლად ლექსს „არაგვს“:

„რა ლამაზია, წყეულო,
შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი,
გააფთრებულსა ტალღასა
კლდეს რო წაუვლენ თქერანი!
შენ თვალს გარიდებ მაშინა,
მთებისკენ მწადის ცქერანი...
გულიც იქ იწევს თვალიცა,
იქ რომ მაღალი მთებია,
ვინც რომ გიქმაჟი გაგზარდა,
ვის ძუძუც პირში გდებია,—
იმათ კალთაზემც მოვკვდები,
მათ ლოდი გულსამც მდებია!
ზაფხულში აყვავდებიან
მკერდნიც კი სალის კლდისანი.
ყვავილთ პირს ეკონებიან
ცივნი ნამცვრევნი ცისანი,
გაჰყუჩებია ნიავსა
ჯიხვი, ყელ-ყურით ლამაზი,
აღარ აჩხერებს ქვიშათა
კლდით კლდეზე მხტომი გავაზი.
ხან ხომ ცა მოიღრუბლება,
ჩაბნელდებიან ხევები,
გაჩნდება მეხთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზე დაიკეცება
სვავთა და არწივთ ფრთეები.
თმებს უკუ-იყრის ნაკადი,
ცისა დაიწყებს ცქერასა,
შაჰყურებს გაოცებული
შავის ღრუბლების მღერასა.
რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის ძგერასა?!
ხშირად მოხეთქილს წვიმასა
სიპისა აქვის ღარები:
აქა-იქ გაიმტვრევიან
პირ-გაშაული ღვარები;
იზიდებიან შენკენა
ის გრძნობისაგან მთვრალები,
იმათ ველარა დაიჭერს,
თუნდ რკინის დახვდეს კარები!
ეხლა ავდარიც გადიყრის
და მზეც გადივლის გორასა,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნისლები
ხევეებში სდგამენ გორასა,
ველარა ჰბედვენ ბეჩავნი
მთებისად მეხის სროლასა,
მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი
სახვალიოდაც ბრძოლასა!“

შეუდარებელია ნ. ბარათაშვილის სიმღერა არაგვის ხილვის გამო, მაგრამ მისი ლექსი წმინდა ლირიზმია, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გრძნობაა. ვაჟას „არაგვი“ კი მთელი მიდამოს მოძრაობასა და სიცოცხლეეს მოგვაგონებს. კლდე, ჩანჩქერი, მცენარე, ნისლი, ნიავი, ყველაფერი მოძრაობს, სცოცხლობს, ყველაფერს სული უდგია.

და ასეთივე მოძრავი და ცოცხალი იყო თვით ვაჟას გმირული და მხიარული სულიც. ამიტომ, უკანასკნელი ხნის მწერალთა შორის ის ერთად ერთი ეპიკოსია და, სამწუხაროდ, მემკვიდრე არა ჰყავს. მაგრამ, ქართველი ერის გულში სხვა პოეტებთან და მოღვაწეებთან ერთად მასაც მუდამ ექნება ბინა და საუკუნო იქნება ხსენება მისი.

ვასილ წერეთელი.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

სოკოლოვისა, სედლეცისა და ლუკოვის დატოვება.

პეტროგრადი. 31 მკათათვე. მთავარ სარდლის შტაბისაგან ოფიციალური ცნობა: მიტავის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონში 30 მკათათვეს გერმანელები ჩვენი ჯარებისგან შევიწროვებულები არიან. მდინარის იქით მტრის უკანდახევის დროს ბევრი დავატყვევეთ. იაკობშტადტიდან, დვინსკიდან, ვილკომირიდან მიმართულებით მტრის ჯარების შევიწროებას გავაგრძობდით, მის შეუპოვარ წინააღმდეგობას ვძლევდით. კოვნოს რაიონში გერმანელებმა იერიშები ჯერჯერობით შეაჩერეს, საარტილერიო ბრძოლა—კი გრძელდება. ნარევსა და ბუგს შუა ჯარის პირზე ჩვენ მიერ 29 მკათათვეს მოხდენილმა კონტრიერიშმა აღნიშნულ პირის ჩრდილოეთ უბნის ჯარის მომზადებულ პოზიციებზე უკანდაწევა გაუადვილა. შუა ვისლიდან თანახმად საერთო გარემოებისა ჩვენ დავტოვეთ სოკოლოვი, სედლეცი და ლუკოვი. ერთობ ჩვენი ჯარების პირზე, რომლებიც ბუგის მარცხენა ნაპირზე არიან 30 მკათათვის განმავლობაში დიდი შეტაკებები არ ყოფილა. ბუგის მარჯვენა ნაპირზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე მდგომარეობა უცვლელია.

სიკვდილით დასჯა.

პეტროგრადი. 31 მკათათვე. მთავარ სარდლის შტაბისაგან სახელმწიფოს მოღალატეთა შესახებ ოფიციალური ცნობა მიასოედოვისა, ბორისა ფრეიდბერგისა, შლიომა და არონი ზალცმანოვისა, ოტორიგერტის დავიდ ფრეიდბერგისა, რობერტ ფალკისა და მატუშ მიკულისა სამხედრო სასამართლოსგან ჩამოხრჩობა აქვთ გადაწყვეტილი, სასამართლოს განაჩენი 26 და 26 მკათათვის ღამით არის სისრულეში მოყვანილი, დანარჩენ მონაწილეთ ბარონ გროტგუს უვადო კატორღა გადაუწყვიტა, ოტო—ფრეინატს 8 წლით კატორღა და მიასოედოვის ცოლს სამუდამო გადასახლება.

ჯავშნოსნისა და კრეისერის ჩაძირვა.

ლონდონი. 31 მკათათვე. სადმირალო იტყობინება: ინგლისის წყალქვეშა ნავმა, რომელიც დარდანელთან მოქმედებდა [illegible] მკათათვის დილით მარმარილოს [illegible] შესავალთან ოსმალების ჯავშნოს[illegible] ძირა ოსმალების საკანონერო ნა[illegible] კისატვედი და ცარიელი ტრანს[illegible] რეთვე დარდანელთან არ[illegible] ინგლისის ერთერთ წყალქ[illegible] მაშ[illegible]

ულებდა 26 მკათათვეს გერმანიის ლქვეში ნავმა ჩაძირა. 22 აფიცერი და 9 მეზღვაური გადარჩენ.

რუსებისა და ოსმალების ბრძოლა.

პეტროგრადი. 31 მკათათვე. კავკასიის ჯარის შტაბიდან 29 მკათათვის ოფიციალური ცნობა: ზღვისპირის და ოლთისის ებით სროლაა. პასინის ველზე მთელი რით ორჯერ შემოგვიტიეს ჩვენმა ჯარმა ორასი ნაბიჯის მანძილზე მოუშო და ორჯერ დიდი ზარალით მოვიგერიეთ ერთი შტაბაფიცერი ხუთი ობერაფიცერი და ასოცდაათი ასკერი. ერთმა კავალერიის პოლკმა სოფელ მარმუზთან ოსმალების სროლელთა წრეზე იერიში მიიტანა ბევრი აკუწა და ბევრი დაატყვევა, რომელთა რიცხვი ჯერ ირკვევა, ჩვენი ცხენოსანთა კოლონამ, რომელიც მელიაზგერტს გაიგზავნა დაატყვევა ოცდაოთხი აფიცერი, რომლებსაც ერზერუმის სასწავლებელი აქვთ დამთავრებული. დარკოტ—ულახის რაიონში ჩვენ ცხენოსან დარაზმებს ოსმალების ყაზახებთან შეტაკება ჰქონდათ, ერთი, ტრეპორჩინი, ხლმით ვეთა ოსმალების შვიდი კაცისაგან შემდგარ დარაზს და დაატყვევა. დანარჩენ რზე მდგომარეობა უცვლელია.

ფრანგებისა და გერმანელების ბრძოლა.

პარიზი. 31 მკათათვე. დღის ოფიციალური ცნობა: არტუაში ციხე კარეილის დილოეთით გერმანელები იერიშის მოტანას შეეცადნენ ადვილად მოვიგერიეთ. გონებზე გუშინ გერმანელებმა იერიში განაახლეს ბინარვილ—ლეშატოს გზისა და ლაგურეტის ხევის შუა სექტორზე არე ბრძოლის შემდეგ მოვიგერიეთ, მლის დროსაც გრანატებს და მგლე ყუმბარებს ვხმარობდით, ჯარის პირის დანარჩენ სივრძეზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ჩერნოგორელებისა და ავსტრიელების ბრძოლა.

ცეტინიე. 24 მკათათვე. პრესბიურო იტყობინება: უკანასკნელ დღეებში ჯარის მთელ პირზე ავსტრიელები დიდ სიმამაცეს იჩენენ როგორც გრაბოვო—გაცკოს ისევ კიდევ გერცოგოვინი კატა[illegible] საარტილერიო შე[illegible]ბრება ქვეითა ჯარების მოქმედებით შეიცვალა ჩვენ მაინც მტრის იერიშებს ყველგან წარმატებით ვიგერიებდით, ავსტრიელების ჰაეროპლანები ყოველ დღე დაზვერის მიზნით ჩვენ პოზიციების თავზე ჩნდებიან, საარტილერიო ბრძოლები ჩვენ სასარგებლოთ ბოლოვდებიან.

სერბიელებისა და ავსტროგერმანელების ბრძოლა.

ნიში. 30 მკათათვე. პრესბიურო იტყობინება 27 მკათათვის ცნობა: ჩვენ ხელი შევუშალეთ არტილერიის ცეცხლით მტერს არ გამაგრებულიყო რამდენიმე პუნქტზე სავა—დუნაის მარცხენა ნაპირზე, 28 მკათათვის წინა ღამეს ჩვენმა არტილერიამ მტრის ბარგებს შერმჩეროვიდან ვარშავისაკენ მიმავალ გზაზე წარმატებით სროლა აუტეხა, აგრეთვე სოფელ ისოვიცის ახლო და სოკოლოვაცის მიდამოებში, ამ ღამეს მტერმა ორი ყუმბარა გამოისროლა ტეკიში ბაღანა მოკლა, შემდეგ დეცეს ახლო ჩვენ ნაპირს მკაცრი ცეცხლი დაუშინა, ჩვენმა არტილერიამ სწრაფათ ჩააჩუმა მტრის ზარბაზნები 28 მკათათვის დილის 9 საათზე მტრის ჯარის კაცნი ორ შლიუპკაში ჩამსხდარნი დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას ცდილობდნენ ოსმალების გოლუბეცის ძველი სიმაგრის ახლო თუთხმეტი მეტრის მანძილზე მოვუშვით მძუსრავი ცეცხლი გავავლეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ოსმალეთი.

„რ. ვედ.“ სწერენ, რომ ბოლო დროს მრავალი გადაცმული გერმანელი აფიცერი, ინჟინერი, ავიატორი გადავიდა ოსმალეთში და თან ბევრი ასაფეთქებელი ნივთიერება გადაიტანესო.

გერმანიამ რუმინიით მთელი სანიტარული მატარებელი გაგზავნა ოსმალეთში. მატარებელში იყო ექიმები, მოწყალების დები, წამალი და ყოველი სამკურნალო მოწყობილება.

რუმინია.

საზონოვის სიტყვამ, რომელიც სათათბიროში წარმოსთქვა, დაარწმუნა ოთხთშეთანხმების დიპლომატები, რომ მეტად სუსტი იმედი უნდა ჰქონდესთ რუმინიისა. ეტყობა, რუმინიას არ ჰხიბლავს ის ტერიტორიალური კომპენსაცია, რო[illegible] მისი მოკავშირენი. რუმინიის მთავრობა ისე, როგორც როდოსლავოვი, ძალიან შეაფიქრიანა გერმანიის ეხლანდელმა გამარჯვებამ, და მასთან მოლაპარაკება ეხლა უფრო ძნელია, ვიდრე იყო ამ რამდენისამე თვის წინად. (სახ.)

ბელგია.

ბელგიური გაზეთები, რომლებიც ლონდონსა და პარიზში გამოდის, ცხარე წერილებს ბეჭდავენ ფლამანდელთა მოძრაობის წინააღმდეგ. ბელგიელები ღალატს სწამებენ ფლამანდელებს, რომ გერმანიას ემხრობიან და უნდათ ბელგიის დაღუპვა. ამის საპასუხოდ ფლამანდელმა ინტელიგენტებმა მანიფესტი გამოსცეს, რომელშიაც ამტკიცებენ, რომ ისინი იბრძოდენ თავის ეროვნების, ენისა და კულტურის თავისუფლებისათვის ომის დაწყებამდის, იბრძვიან ეხლაც, იბრძოლებენ მაშინაც, როცა ბელგია სრულიად გათავისუფლდება, და მათ მისწრაფებას არაფერი საერთო არა აქვს გერმანელებთან. (დ.)

გერმანიის სოციალ-დემოკრატია.

„ფოლკ. ცაიტ.“ ედ. დავიდმა მეტად მკაცრი წერილი დასტამბა კ. კაუტსკის წინააღმდეგ. დავიდი ბრალსა სდებს კაუტსკის, რომ მეტის მეტად ბევრს ჰფიქრობს ინტერნაციონალის ბედის შესახებ და ნაკლებად ჰზრუნავს გერმანიის ს.-დემოკრატიის ინტერესებისთვის. დავიდი ამბობს, რომ უცხოეთის სოციალისტურმა პარტიებმა ბევრი შეუწყნარებელი ცილისწამება დასწერეს გერმანიის შესახებ და კაუტსკიმ არა თუ პასუხი არ გასცა, არამედ მოინდომა მათი გამართლება. (სახ.)

საბერძნეთი.

რადგან ინგლისის მთავრობა ყოველმხრივ აბრკოლებს საბერძნეთის ნავოსნობას და ვაჭრობას, საბერძნეთის მთავრობამ გამოუცხადა ინგლისს, რომ აქიერიდან არავითარს საქონელს არ გაუშვებს სერბიის ტერიტორიისაკენ. (სახ.)

კარლო ჩხეიძის სიტყვა.

წავიკითხე სტახტო გაზეთებში კარლო ჩხეიძის სადეკლარაციო სიტყვა და კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ საქართველოს დეპუტატი არა ყავს.

მართალია, კ. ჩხეიძის სიტყვა საინტერესოა, ბევრს ღირს-შესანიშნავ ფაქტს ეხება, და, რაცა სთქვა, უთუოდ უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ ის ლაპარაკობდა არა როგორც საქართველოსი არამედ, როგორც საერთოდ მთელი რუსეთის წარმომადგენელი.

ამგვარი სიტყვა მილიუკოვს, კერენსკის ან რომელსამე მის რუს ამხანაგს უფრო შეეფერებოდა. ვფიქრობ, რომ უკეთაც იტყოდენ, რადგან უკეთ იცნობენ რუსეთის ცხოვრებას.

არავინ იფიქროს კი, რომ ვემდუროდე კ. ჩხეიძეს იმის გამო, რაცა სთქვა. პირიქით, მე ვისურვებდი, რომ, საქართველოს წარმომადგენელს, რომ გვყოლოდა, რომ არ დაეტოვებია აღუნიშვნელად რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არაფერი, რაც კი ღირსია ყურადღებისა, მაგრამ დავავალებდით კი იმავე დროს, საქართველოზე, რაც შეიძლება, მეტხანს შეჩერებულიყო.

მაშ რატომ ვემდური კარლო ჩხეიძეს? მიტომ, როე მან თავისი მდგომარეობა ჩვენდა სასარგებლოდ არ მოიხმარა და ამ დიდ ისტორიულ წამს არ ახსენა არც ქართველთა სამხედრო ღვაწლი და არც ჩვენი ისტორიულ-ეროვნული მოთხოვნილებანი.

იტყვის კი ა. ჩხენკელი იმას, რაც არა სთქვა კარლო ჩხეიძემ? ამასაც მალე დავინახავთ. მაგრამ უკვე ის, რომ ეროვნებათა წარმომადგენლების წინადადების შემუშავებაში არც მან მიიღო მონაწილეობა, გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ მისი ჯგუფური მდგომარეობის გამო არც ა. ჩხენკელს უნდა ეწოდებოდეს საქართველოს წარმომადგენელი.

დიაღ! ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ საქართველოს სარათბიროში დეპუტატი არა ყავს!

როგორ სამწუხარო არ არის?!

ვასილ წერეთელი.

ახალი ამბავი.

7 აგვისტოდან ქუთაისის საზნაურო გიმნაზიის ბინა დაკავებული იქნება ახლად გასაწვევ ჯარის კაცების თავის მოსაყრელად (сборный пункть).

✦ გუშინ 2 აგვისტოს, ვაჟას დაკრძალვის დღეს, ქუთაისში დილის 7 საათზე ბევრ[illegible]ოცველში დილის ლოცვის შემდეგ ქართველმა [illegible] ვაჟას სულის მოსახსენებლად [illegible] გადაიხადეს, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

✦ ქუთაისში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა დაადგინეს, გამართონ საქართველოს სხვა და სხვა პროვინციაში ლექციების კითხვა ვაჟას შესახებ. ლექციების შემოსავალი გადაიდება ვაჟას საუკეთესო ლექსების გამოსაცემად, რაც უფასოდ დაურიგდება ხალხს. პანაშვიდი მგოსნის სულის მოსახსენებლად გადაიხადეს გუშინ, დღის 12 საათზე სხვა კულტურულ დაწესებულებებთან ერთად.

✦ როგორც სამხედრო საკრებულოს ცნობა მოუვიდა, ამ მოკლე ხანში ქუთ. გუბერნიიდან გაწვეულნი იქნებიან პირველი და მეორე ხარისხის „ოპოლჩენცები“. გაწვეული იქმებიან ისინი, ვინც ოპოლჩენცებად ჩარიცხულნი არიან 1905 წლიდან. ვადა მიეცემათ მხოლოდ მოსწავლე ახალგაზდებს, სამხედრო საჭიროებისთვის სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთ და რკინის გზაზე მოსამსახურეებს.

✖ დიდებული მგოსნის აკაკის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის საზოგადო საკრებულომ აკაკის პატივისაცემლად დანიშნა ერთი სტიპენდია 360 მანეთიანი. საკრებულოს საბჭოს კრებამ ეს სტიპენდია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა დასანიშნავად. სტიპენდია უნდა მიეცეს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მოსწავლე ახალგაზდას.

✖ გუშინ 2 აგვისტოს, დილის 11 საათზე საფირჩხიის მცხოვრებლებმა ვაჟას სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს საფირჩხიის ამაღლების ეკლესიაში

✖ რედაქციამ მიიღო ქართ. წიგნაკი „უმადური“. შედგენ. დონ—ღანის მიერ. გამოცემა მასწავლებლის დ. კაპანაძისა. წიგნი სუფთად არის დასტამბული, ცავს 32 გვ., ფასი სამი შაური., ბებს ავტორისაგან სრულიად უფასოდ

ამ მოკლე დროში კიდევ გამოვა ხუთე წიგნაკი „ნატოშვილის“ ფსევდ ნიმით. მოთხრობა და ლექსები: 3 გვ ფასი სამი შაური. გამოცემა შ. ხიდის რელისა.

✖ წყალდიდობით დაზარალებულ ქუ

მარქსიზმი და მეცნიერება.

ველთვის ვამბობდი, სოციალ-დემოკრატები, ან, უკეთ ვთქვათ, მარქსისტები, ატიკოსები არიანთქო. და მათმა ახელმა მწერლობამ სავსებით დაამოწმი შეხედულობა.

ევანდელი საერთაშორისო ომი—ვე სოციალური ცდაა, რომლის ლებითაც უნდა იქნეს შემოწმებული თითოეული ძველი სოციოლოგიური ია და უკუგდებული ყველაფერი, წინააღუდგება და არ თანხმობს ასეა ბუნების მეტყველებაში.

ქსისტები კი სულ სხვაგვარად ირ: იმას კი არა ცდილობენ, რომ რია შეათანხმონ ფაქტთან, ე. ი. შეასწორონ ან შესცვალონ, რომ ტი ადვილი გასაგები შეიქნეს, არამედ, პირიქით, თავის წინასწარ აკვიატებულ აზრს უეჭველ ჭეშმარიტებად ლიან და მისი საშუალებით უნდათ აშუქონ და ახსნან ფაქტი. ერთი სიტყვით, თეორიას უფრო უჯერებენ, ვიდრე ფაქტს! და, რასაკვირველია, მეთოდს საერთო არაფერი აქვს მეცნიერებასთან, იგი ძველი, სარწმუნოებრივი ფანატიზმისა და დოგმატიკოსობის წარმოადგენს.

იკითხეთ, რომელიც გნებავთ, მარქლი ნაწერი ამ ომის შესახებ, და უნდებით. თითოეული წერილის რი უთუოდ ასეთია: მარქსმა რაცა სთქვა უეჭველია; მაშ ამ ომის მიზეზი და შედეგი მარქსისტული თეორიის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ და ავხსნათო.

რცერთ მარქსისტს არ ეპარება მცირე ეჭვი იმის შესახებ, რომ შეიძტმა მარქსისტული დოგმა—სუ ოს და უკუაგდოს. უკვე ომა ლდა მარქსიზმის კრიტიკა და მოირკვა მისი ცალმხრივობა. კი ამ კრიტიკამ, თით რენოდეს, ფუჭად ჩა შეხედულობა ოდნა- [illegible] თომ სოციალური ცხოვრება დამყარებული იყოს ეკონომიურ საფუძველზე. სხვა ყველაფერი, უფლება, ფილოსოფია და სხ., ზედნაშენიაო, ამბობდა მარქსი. და ამასვე იმეორებენ ამ თუ იმ სახით მისი მიმდევრები.

აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ 20 ივლისის „ახალ კვალში“ („სადაო კითხვები“ „ან“-ისა): საწარმოო ძალაში შედის არა მარტო ნივთიერი მომენტი, არამედ იდეიურიც, საზოგადოდ საზოგადოების მთელი საქმიანობა, მთავარი კი ნივთიერი მხარეა, როგორც საფუძველი და მიზანი და საქმიანობისა.

მაგრამ თანამედროვე პოზიტივისტების აზრით, არ არსებობს მიზეზი, რომელიც შობს სხვა და სხვა შედეგს, ე. ი. ერთი რომელიმე მოვლენა ვერ წარმოშობს მეორე მოვლენას. მოვლენათა შორის მხოლოდ დამოკიდებულება სუფევს, ე. ი. თითოეული მოვლენა ერთსა და იმავე დროს მიზეზიც არის და შედეგიც.

ამგვარი დასკვნა გამოყავს, მაგალითად, ბერლინის უნივერსიტეტის პსიხიატრიის პროფესორს ტ. ციჰენს თავის ფიზიოლოგიურ პსიხოლოგიურ გამოკვლევათაგან (იხ. მისი „ფიზიოლოგიური პსიხოლოგია“, რუსულად ნათარგმნი, გამოცემული 1909, მეთუთხმეტე ლექცია).

ე. მახი ამბობს: „უპირობო და უცვალებელი არა არის რა, არის მხოლოდ დამოკიდებულება ელემენტთა შორის“ (გრძნობათა ანალიზი და დამოკიდებულება ფიზიკურისა პსიხიურთან, რუს. ნათარგმნი, გამოც. 1908 წ., გვ. 268, 269, 270 და სხ.).

პეტცოლდი აღიარებს მახის მეთოდს, რომელიც მოითხოვს, რომ მეცნიერი კი არ უნდა ცდილობდეს მოვლენათა ახსნას, არამედ უნდა აღწერდეს მათ დამოკიდებულებას ერთმანეთთან და მოვლენათა **მიზეზს** კი არ უნდა ეძებდეს, არამედ იმას, როგორ საზღვრავენ და უკავშირდებიან ერთმანეთს მოვლენანი. მისი ფიქრით,, ყველაფერი პირობითია, არაფერი არ არის აბსოლიტიური (იხ. მისი „პრობლემები მსოფლიოსი პოზიტივიზმის თვალსაზრისით“). [illegible] რომელიც წარმოადგენს ავენარიუსის იდეათა პოპულიარიზაციას, პეტცოლდი უფრო დაწვრილებითა და გარკვევით ამბობს, რომ, როდესაც ეძიებენ მოვლენათა მიზეზს, ეს მოგვაგონებს ძველებური ცრუმორწმუნეობის ნაშთს, ეგრეწოდებულ ანიმიზმსო. „მიზეზი“ თითქო რაღაც სულია, რომელიც წარმოშობს მოვლენას! ერთი სიტყვით, ეს იგივე ფეტიშიზმია და ამგვარ მეთოდს ნამდვილს, პოზიტივისტურ მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვსო.

პეტცოლდს მოჰყავს ამ საკითხის გასაშუქებლად ერთი მაგალითი. მაღალი მთის წვეროდან მოგჯა თოვლის ზვავი, დაეცა თოვლიან ფერდობს, დაგორდა, გაიზარდა, ამოთხარა გზა-გზა ჩირგვები და ხეები და, ბოლოს, ძირს ხეობაში სახლი დაატანა და დანგრია. რა არის სახლის დანგრევის მიზეზი? მიზეზი ბევრია: ზვავის სიდიდე, მისი მოძრაობის სიჩქარე, მისი ზრდა გზაზე, სახლის სიმტკიცის სისუსტე, ზვავის სიმძიმე, ნამეტანი დაქანებული თავდაღმართი, თოვლის ნაწილების ერთმანეთთან მიწეპება, ჭაერის მდგომარეობა, რომელმაც ხელი შეუშალა ზვავის ნელ-ნელა გადნობას და სხ. და სხ. თითოეული ხსენებული მიზეზი—აუცილებელი პირობაა, ურომლოდაც სახლი არ დაინგრეოდა, მაგრამ არცერთ მიზეზს არ მიეცემა უპირატესობა, ე. ი. არც ერთი არ ჩაითვლება ნამდვილ მიზეზად. უკეთ ვთქვათ, აქ არ არის ერთი მხრით მიზეზი და მეორე მხრით შედეგი, არამედ არიან პირობანი, რომელნიც ერთმანეთს საზღვრავენ, ერთმანეთს უკავშირდებიან. და მეცნიერება იკვლევს სწორედ ამ კავშირს, დამოკიდებულებას, რომელსაც ეწოდება კანონი, და არა მოვლენათა უპირველეს მიზეზს.

აი რას ამბობს ამის შესახებ სხვათა შორის ანრი პუანკარე (იხ. მისი „მეცნიერება და ჰიპოტეზა“, რუსულ. თარგმ. 1904 წ., გვ. 3 და 4): „ჩვენ მუდამ ვხედავთ მეცნიერების ნაყოფიერ შრომას. ეს არ იქნებოდა, მეცნიერება რომ სინამდვილეს არ აღმოაჩენდეს; მაგრამ მეცნიერება ვერ მისწვდება [illegible] (ე. ი. [illegible] მიზეზს, ავტ.), რო[illegible] ფიქრობენ, არამედ იკვლევს დამოკიდებულებას, კავშირს მოვლენათა შორის; ამ დამოკიდებულებათა გარეშე არ არსებობს გასაგები, შესაცნობელი სინამდვილე“.

ეროვნული ცხოვრება ერთობ რთულ სოციალურ მოვლენათა კავშირს წარმოადგენს. მასში შედიან, როგორც ელემენტები: ჩამომავლობა, ე. ი. მოდგმა, გამრავლება, ხასიათი და ზნეჩვეულებანი, გეოგრაფიული მდგომარეობა, პოლიტიკური წესწყობილება, ურთიერთობა სხვა ერებთან, საქონლის წარმოება და გაცვლა, ანუ მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა, კულტურა, მეცნიერება ლიტერატურა, ხელოვნება და სხ. და, როგორც აქიდან სჩანს, საქონლის წარმოება და გაცვლა—ერთი ელემენტთაგანია, ნაწილია ეროვნული ცხოვრებისა.

და, როდესაც ამბობთ,, ნაწილია მიზეზი მთელისო, ამით ამბობთ: ნაწილი უდრის მთელსო..

ავიღოთ მაგილითი ქიმიიდან: მჟავდედისა და წყალდედის ქიმიური შეერთება წარმოშობს წყალს. და განა შეიძლება სთქვათ, წყლის წარმომშობი მიზეზი მარტო ერთ-ერთი ხსენებული ელემენტიაო?!

რა არის მიზეზი ცხოველის სხეულში სისხლის ტრიალისა? გულის კუნთების განსაკუთრებული თვისება (რითმიულად შემოკლება და გაშლა), ადგილობრივი ნერვიული კვანძები, გაფანტულნი გულის ზედაპირზე და შეკავშირებულნი ერთმანეთთან, ცენტრალური ნერვიული სისტემის ნერვები (ეული ნერვები, რომელნიც აფერხებენ გულის ფეთქას, ამაჩქარებელი ნერვები (სიმპატიკუსი), გულიდან ცენტრისკენ ნერვიული ღელვის მიმტანი ნერვები, დიდ ვენათა შესართავებში მდებარე და ნერვიული კვანძები, რთული დამოკიდებულება ერთმანეთთან ხსენებული ნერვებისა ნერვიული კვანძებისა, სისხლის მიღების ერთგვარი მექანიკური თვისებანი, მათი რთული ნერვიული სისტემა მათი ჰამითი თვისებანი, რტოებად დაყოფა, შინაგანი გარსის პირსწორობა, [illegible] შინაგანი გარსის პირსწორობა არ დაირღვევა, [illegible] მოქმედება (რომელიც სწურავს სისხლს გულისკენ, როგორც საქაჩავი,) და სხ. და განა შეიძლება, ერთს რომელსამე ხსენებულ პირობას ვუწოდოთ უმთავრესი მიზეზი?

ამგვარად თითოეულ რთულ მოვლენაში უნდა ვცდილობდეთ ანალიზის საშუალებით მოვლენათა დამოკიდებულების კავშირის, გამორკვევას. ეს არის ნამდვილი, დადებითი, პოზიტიური, მეცნიერული მეთოდი.

და, როდესაც თქვენ მოვლენათა შორის დამოკიდებულებას კი არ იკვლევთ, არამედ ფიქრობთ, რომ ერთი რომელიმე მიზეზი შობს რთულ მოვლენას, რომელშიაც ის, რაც დასახელებულია მიზეზად, შედის როგორც ნაწილი, ეს წმინდა წყლის ანიმიზმია, ტლანქი მეტაფიზიკაა, ძველი ცრუმორწმუნეობის ნაშთია. და, მაშასადამე, ის ტლანქი მატერიალიზმია რომელსაც უწოდებენ ეგრეწოდებულ ეკონომიურ მატერიალიზმს, იგივეა, რაც ძველი ანიმი ტური მსოფლმხედველობის გაცოცხლებ ანუ ტლანქი მეტაფიზიკა.

ეკონომიური მხარე არის საფუძველი სხვა ყველაფერი კი ზედნაშენიო, ამბობ და მარქსი და იმეორებს მრავალი მი მიმდევარი. მაშასადამე, ისინიც განასხვავე ბენ ეკონომიურს არა ეკონომიურისაგან ფიქრობენ მხოლოდ, რომ ეკონომიური არის მიზეზი, არა ეკონომიური კი შედეგიო.

ავიღოთ საილლიუსტრაციოდ, საკითხის გასაშუქებლად, ერთი მაგალითი ფიზიკიდან. განსაზღვრული რაოდენობა სითბოსი—ზოგიერთი პირობით—გარდიქმნება მექანიკური ენერგიის განსაზღვრულ რაოდენობად. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ შემთხვევაში სითბო იქნება მიზეზი, მექანიკური ენერგია კი შედეგი? მექანიკური ენერგია და სითბო ერთი და იგივე არ არის, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თითოეული საკუთარ კანონებ ემორჩილება, განსაკუთრებულ თვისება წარმოადგენს. ერთერთი მათგანი მხოლოდ ბიძგია, რომელიც გამოიწვევს მ ორეს. ამიტომ, ძველი ტერმინოლოგი „ენერგიათა ერთმანეთად [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გუბერნიის მცხოვრებ
მთავრობამ საიმპერიო თა
ვა ერთი მილიონი მან.
ქებისგან ვაჭრებმა ნედლი ოკი
ფასად იყიდეს და ახლა კი ოთხ-
ვსად ჰყიდიან. (სამ.)

„ძმური სიტყვის“ გაყიდვით შემო-
575 მანეთი და 65 კაპ. (სამ.)

15 ივლისიდან ქ. ახალ-სენაკში
ჯე რაიონის სახალხო მასწავლებლე-
კის გაიხსნა სამასწავლებლო კურსე-
მ კურსებზე მთავრობის ხარჯით მო-
ლია 30 მასწავლებელი. კურსებზე
ების ნება აქვთ აგრეთვე სხვა მას-
ლებლებსაც. დღიდის კურსებზე დაი-
60 მასწავლებლი მეცადინობა 1
ტოს შეწყდება. (სამ.)

– მომავალი სექტემბრიდან ქ. ქიათუ-
უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავ-
ბელში კანონმდებლობის მასწავლებ-
ად ინიშნება ნაფიცი ვექილის თანაშე-
ე მ. მასხულია, საგიგიენო საგნების მა-
წავლებლად კი კ. კამპანიონი. ამის შე-
ახებ სასწავლებლის მთავრობამ ბ. გუ-
ნატორთან შუამდგომლობა უკვე აღ-
ა. (სამ.)

✖ განსვენებული მგოსნის აკაკის სახე-
ის უკვდავსაყოფელად ქუთაისის საზო-
დო საკრებულომ სტიპენდია დანიშნა.
კრებულის საზოგადო კრების დადგე-
ლებით სტიპენდია გადაეცე ეტნო-
აფიულ საზოგადოებას და უნდა მიე-
ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ მოს-
ვლე ახალგაზდას. სტიპენდიის რაო-
ბა წლიურად 360 მანეთია. (სამ.)
სრულიად რუსეთის ვაჭარ მრეწვე-
ბმე ატყობინებს ჭიათურის შავი
ამჭოს, რომ მას განზრახვა აქვს შე-
ს ქ. ჭიათურაში გერმანელების
შეძენილი 615 დესეტინა მარგანე-
ადგილი, რომელსაც შარშან მთავ-
ობამ ომიანობის გამო კონფისკაცია
ყო. (სამ.)

✖ გოგებაშვილის ქუჩაზე ამ ქამათ
ჩის ფარნები უწესრიგოდ ინთება.

კვირას, 26 ივლისს, აჭარელთათ-
ავექილო დასახმარებლათ, შავი ქვის
დარბაზში დანიშნული ვექილთა
ხაციის კრება არ შესდგა, კრება
ხვის გადაიდვა. (სამ).

✖ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის გამგეობის განკარგულებით, ამ ჟამად ხსენებული გიმნაზიის მთავარ დარბაზში მოწაფეების დახმარებით მზადდება მახრჩობელა გაზის საწინააღმდეგო თავის შესაკრავები, მუშაობა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5 საათ. 7 საათამდის. (სამ.)

ვინ სტყუის ბ. ცინცაძე თუ მე?

გაზ. „იმერეთის“ 21 №-ში მე, სხვათა შორის, ვსწერდი რომ ბ. შიო ქუჩუკაშვილს კ. ოცხელისა და და ამხ. წიგნის მაღაზიამ წინდაწინ მისცა 400 თუ 500 მანეთი და მისი თხზულება კი ჯერ არ გამოუცია მეთქი.

ამის შესახებ ბ. ცინცაძე თავის გაზეთში ამბობს: ეს არის ი. ოცხელის სიცრუვის ნიმუშიო — ბ. შიო კუჩუკაშვილს ძმ. ოცხელებმა პირველად რაღაც 150 მან. მისცეს და მას შემდეგ აწვალებენ — ფულს არ აძლევენო. აქვე მოჰყავს ქუჩუკაშვილის და მისი ცოლის წერილები.

თუ რამდენათ მართალი ვართ მე და ჩემი ძმები ბ. ქუჩუკაშვილის შესახებ და რამდენათ სტყუის ბ. ცინცაძე, ჩვენ უზავნით გაზ. „იმერეთის“ რედაქციას ბ. ქუჩუკაშვილთან შეკრულ პირობას, სიდანაც სჩანს, რომ მას მიღებული ქვს კ. ოცხელის წიგნის მაღაზიისაგან თავის დროზე ე. ი. 1914 წლის 8 დეკემბრამდი 400 მანეთი.*)

დაწვრილებით კი უნდა მოვახსენო პატივცემულ მკითხველს, რომ 1914 წ. 10 იანვარს ჩვენ ძმ. ოცხელებმ და შ. ქუჩუკაშვილმა ერთმანეთს შორის დავდეთ შემდეგი პირობა: ბ. ქუჩუკაშვილს უნდა გადმოეცა ჩვენთვის თავისი ლექსები — 7 ათასი სტრიქონი (ანუ რამდენიც აღმოჩნდებოდა), ჩვენ კი თითოეულ სტრიქონზე უნდა მიგვეცა 6 კაპ.; ეს ფული უნდა გადაგვეხადა სამ ვადაზე: პირობის დაწერის დროს 150 მანეთი, სექტემბერში 150 მ. და დანარჩენი დეკემბერში.

ამავე დროს ბ. შიო ქუჩუკაშვილმა ჩვენ მოგვცა ლექსების გარჩევის უფლება, ე. ი. შეგვიძლია არ მივიღოთ ის ლექსები, რომელიც არ მოგვეწონება.

ამის მიხედვით ნამდვილათ განსაზღვრა იმისი, თუ რა სასყიდელი ერგება ბ. ქუჩუკაშვილს მისი თხზულების გამოცემისთვის, ძნელია, სანამ ეს თხზულება არ დაიბეჭდება.

მიუხედავათ ამისა ბ. შიო ქუჩუკაშვილს მივეცით პირობის დაწერის დროს 150 მანეთი, ოკტომბერში 200 მანეთი და 8 დეკემბერს 50 მან. სულ 400 მან., ე. ი. მივეცით თავის ვადაზე იმდენი, რაც დაახლოვებით ერგებოდა მას 7 ათასი სტრიქონის ანგარიშით.

სად არის აქ ჩვენის მხრით ან მოტყუება და ან წვალება, რასაც ასე ურცხვათ გვიკიჟინებს ბ. ცინცაძე?.

მხოლოდ ის კი უნდა ვთქვა, რომ ბ. ქუჩუკაშვილმა ამ ბოლო დროს მე მომწერა: ჩემი ლექსები 7 ათას სტრიქონზე მეტი გამოვა, და კიდეც რომ ბევრი დაიწუნოთ, 10 ათასი მაინც დარჩება და მაშასადამე 600 მანეთამდი გონორარი შემხვდებაო. ამ მოსაზრებით მთხოვა 100 მ. კიდევ გამომიგზავნეო.

ვარწმუნებთ პატივცემულს მკითხველს, რომ ჩვენ შიო ქუჩუკაშვილის ნაწერები ჯერ არც გაგვირჩევია, და აბა როგორ შეიძლებოდა მისთვის ზედ მეტი ფული მიგვეცა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მე მაინც ბ. შიოს შეუთვალე, შუა ივნისში 100 მანეთს გამოგიგზავნი მეთქი. მხოლოდ ივნისში ვეღარ გაუგზავნე დაპირებული 100 მანეთი და ერთი თვის შემდეგ ივლისში, როცა თფილისში ვიყავი და პირისპირ ვინახულე ბ. შიო, გადავეცი მას 125 მან. მე ბოდიშს ვიხდიდი დაგვიანებისთვის და ის კი უსაზღვრო მადლობას მიცხადებდა.

ბ. შიოსი და მისი ცოლის საყვედურები სწორედ ამ უკანასკნელ 100 მანეთს შეეხება და ყველა ის წერილები, ცხადია დაწერილია გასულ ივნისის და ივლისის თვეებში.

ამას შემდეგ, დაე განსაჯოს პატივცემულმა მკითხველმა, რამდენათ დამნაშავე ვართ ჩვენ ძმ. ოცხელები ბ. შიო ქუჩიკაშვილთან, და განა უფლება აქვს რაიმე გვიკიჟინოს ამის შესახებ იმისთანა პირმა, როგორიც არის ბ. ცინცაძე? მან ხომ ფულები აკრიფა საზოგადოებისაგან და თხზულება კი არ გამოსცა, ჩვენ კი ფულები წინდაწინ მივეცით (525 მან.) ბ. შიო კუჩუკაშვილს და მისი თხზულება კი არ გამოგვიცია, ე. ი. დახარჯული ფულით სრულიად არ გვისარგებლებია.

აქიდან ცხადათ სჩანს, თუ რა გარჩევაა ჩვენსა და ბ. ცინცაძის მოქმედებაში.

რაც შეეხება ვალის გადახდას, ბ. ცინცაძე ერთ მაგალითსაც ვერ იპოვნის, რომ ან მე და ან რომელისამე ჩემს ძმას როდისმე ვალი არ გადაგვეხადოს. უკიდურეს სიღარიბეშიდაც ყოფილვართ, მაგრამ მაინც ამ ადათს ვადექით. ბ. ცინცაძე კი სხვა ადათს ადგია: ერთ მაგალითს ვერ ნახავთ, რომ მას ნებაყოფლობით ვალი გადაეხადოს, და განა აქვს ამისთანა კაცს უფლება, რომ ვალის გადახდის შესახებ მაინც კრინტი ხმა დასძრას და რაიმე მიკიჟინოს? სირცხვილია, ბ. ცინცაძევ, რომ თქვენ სტყუით, დამნაშავე ხართ და მე მართალსა და უდანაშაულოს აქით მიტევთ და მედავებით.

ი. ოცხელი.

---

*) რედაქცია ადასტურებს, რომ როგორც სჩანს ბ. ქუჩუკაშვილის ხელის მოწერიდან თვით პირობაზე და აგრეთვე ფოჩტის კვიტანციიდან მას მიუღია 1914 წლის განმავლობაში 400 მანეთ. 1915 წ. 125 მან. სულ 525 მან. რედ.

ყოველი ლოთი-სულით ავათმყოფია

არც ერთი სენი ისე არ ანადგურებს ადამიანის ზნეობრივ, სულიერ და ფიზიკურ მხარეს როგორც ლოთობა.

ლოთობა ის უსაშინელესი მიზეზია, რომელსაც გასაოცარი სიჩქარით მიჰყავს ადამიანი და მთელი მისი შთამომავლობა სრულ გადაგვარების გზაზე.

ყოველი ლოთი სულით ავათმყოფია, მოკლებულია სულიერ სისწორეს, ხასიათის სიმტკიცეს და სიმშვიდეს, მუდამ ცუდსა და არეულ გუნებაზეა, ზნეობრივი მოვალეობა, სვინდისი, პატიოსნური სიყვარულით თან და თან ეკარგება; არ იცის. დაპირებული სიტყვის ასრულება, უწმაწურს ლაპარაკში, ლანძღვა-გინებაში ატარებს დროს. ენა მლიქვნელი, ფარისეველი, მაბეზღარი, მოკლებულია მტკიცე და პატიოსნურ განწყობილებას გარშემო პირებთან, დღეს მაქებარი, ხვალ იმავე პირის მაგინებელი.

თან და თან უფრო ჰკარგავს სულიერ სიფაქიზეს, უფრო და უფრო ზნეობრივად ქვეითდება და ბოლოს ხდება ის, რასაც ფრანგი პსიხიატრები ,,ზნეობრივ ბრმას, უწოდებენ. ამ გვარ ადამიანს სულიერ დაცემასთან ერთად აკლდება მეხსიერებაც. ჭკუის გამჭრიახობა, ყოველი გონებრ [illegible] შეიქმნება როგორც ზნეობრივი ისე გონებრივი იდიოტი.

ესეთი პიროვნება [illegible] საზოგადოებისა, რადგან მას შეაქვს ხალხში თავისი უზნეობა და სულიერი ხარწინილება მით უმეტეს თუ ესეთი პირი საზოგადო მოღვაწეა და მასსასთან ასე თუ ისე რაიმე დამოკიდებულება აქვს.

ლოთი ადამიანის ბიოგრაფია რომ შეისწავლოთ უფროს ერთ შემთხვევაში დარწმუნებით, რომ იგი სულით მანკიერ შთამომავლობისაა და ეს მიდრეკილება ლოთობისადმი არის მაჩვენებელი სულიერ გადაგვარებისა, რომელიც წინაპრებმა უანდერძა.

ყოველ ლოთ დედმამას. რომლებთაც მემკვიორეობითი გადმოცემული მანკიერება კიდევ უფრო გაღვივებულია ლოთობით ფლემინის და დემის აზრით მომეტებულ ნაწილათ შვილები შეშლილები და ავაზაკები გამოსდითო.

სახელ განთქმულ Morel-ს სხვათა შორის ამ აზრის ერთი დამახასიათებელი შემთხვევა მოჰყავს:

ერთ ლოთს 7—შვილი ჰყავდა: ამა განი ერთი ოცდა ორი წლისა ჭკუიდან შეიშალა, მეორე იდიოდი იყო, მესამე წყალ მანკით მოკვდა, მეხუთე ახირებული ხასიათისა იყო, მეექვსე ისტერი იყო ავათ, მეშვიდეს კი ძლიერ დასუსტებული ნერვები ჰქონდა.

იმავე წიგნში ვკითხულობთ: ერთ ლოთს 16 შვილიდგან მხოლოდ ერთილა შერჩა, ისიც იდიოტი და ბნედიანი იყო.

მეცნიერის ლომბროზოს თხზულებაში შემდეგი შემთხვევაა მოყვანილი: ერთის ლოთის მაქს თუკესაგან 75 წლის განმავლობაში შემდეგ შთამომავლობა შესდგა: 200 ქურდი და კაცის მკვლელი, 280 ბრმა, ჰლექიანი და ილიოტი, 90 როსკიპი და 300 დღე—ნაკლებიო.

ოთხი ძმანი, გვარათ დიუფენი, მემკვიდრეობითი ლოთები იყვნენ. უფროსმა წყალში თავი დაიხრჩო, მეორემ თავი ჩამოიხრჩო, მესამემ ყელი გამოიჭრა, მეოთხემ კი განგებ გადავარდა მესამე სართულიდან.

შეიძლება მემკვიდრეობა ლოთი დედმამისა პირველ შთამომავლობას ასცდეს, მაგრამ შემდეგ კი უთუოდ გამოაჩნდება.

აი ბედი ერთის ოჯახისა:

დედ-მამა ორივე ლოთი იყვნენ; ვა

ვილეს.
შეიძლება სთქვან: როდესაც
იქმნება მექანიკური [illegible]
ბრი ჰქრება, აღარ არის. მაშა-
აქ ნამდვილი გარდაქმნა სწარ-
ი. სითბო მიტომ ჰქრება, რომ
ქანიკურ ენერგიად ხდებაო.
აგზად ვთხოვ მკითხველს გაა-
დევი ცდა. ჩამოკიდოს ჰორი-
ა ჯოხზე ძაფებით ორი რეზი-
თი ისე ახლოს, რომ ბურთები
ეხებოდენ, გასწიოს ერ-
ი განზე და უშვას ხელი. გან-
ზე გაწეული ბურთი დაეჯახება და განზე გააგდებს მეორე ბურთს, თვითონ კი გაჩერდება. რას ნიშნავს ეს? პირველი ბურთი რომ განზე გასწიეთ, ამით თქვენ მას შესძინეთ ეგრედწოდებული პოტენციალური ენერგია, როდესაც თქვენ მას ხელი უშვით, ეს პოტენციალური ენერგია შეიქმნა ის ბიძგად, რომელმაც გამოიწვია, ბურთის ძირს დაქანება. ამაზე ამბობენ: პოტენციალური ენერგია გარდიქმნა კინეტიურ ენერგიადო. შემდეგ ბურთი დაეჯახა ბურთს და გაჩერდა; მისი კინეტიური ენერგია გამოლია, გააქრო ბურთთან შეჯახებამ. თავისი მხრით ბიძგმა გამოიწვია მეორე ბურთის განზე გავარდნა. როდესაც გაჩერდება პირველი ბურთი, განზე გავარდება მეორე, ე. ი. როდესაც ჰქრება პირველი ბურთის ენერგია, ენერგია ეძლევა მეორე ბურთს. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ დაქანებული პირველი ბურთის დაჯახება არის მიზეზი მეორე ბურთის განზე გასროლისა? არა, რადგან ამისთვის მარტო პირველი ბურთის დაქანება არ კმარა, არამედ საჭიროა, რომ მეორე ბურთიც ისეთივე მსატე იყოს, როგორც პირველი, ისეთივე მოქნილ ძაფზე ეკიდოს, როგორზედაც კიდია მეორე, ბურთი, მოძრაობის დროს არ ჰქონდეს არავითარი დაბრკოლება და სხ. ერთი სიტყვით, მეორე ბურთი რომ განზე გავარდა პირველთან შეჯახების შემდეგ
[illegible] თვით მეორე ბურთის
ხვა თვისება და მდგომარეობა
ამიტომ არ შეგვიძლია
[illegible] მეორე
[illegible]
თი პირობათაგანი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო მეორე ბურთის [illegible] როლას.

მეორე მხრით, პირველი ბურთის მოძრაობა რომ შეჩერდა, მეორე ბურთმა დაიწყო მოძრაობა, ე. ი. პირველმა აღარ განაგრძო მოძრაობა მაშინ. როდესაც მეორე მოძრავდა.

შეეძლო თუ არა პირველს განეგრძო მოძრაობა? ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ეს, რადგან მეორე ბურთსა და პირველ ბურთს შორის წონასწორობა სუფევს, თითოეულს მათგანს საკუთარი სივრცე უჭირავს და ერთი მეორედ ვერ გარდიქმნება, ერთი მეორის ადგილს ვერ დაიჭერს. ე. ი. ერთს შეუძლია მხოლოდ უბიძგოს მეორეს, თვითონ შეჩერდეს, მეორე კი აამოძრაოს თანასწორი სიჩქარით, მაგრამ, ვიდრე ერთ ერთი ადგილი უჭირავს სივრცეში, იქ სხვა ვეღარ დაეტევა. ამიტომ ერთი ნივთი მეორე ნივთად ვერ გარდიქმნება, ვერ გარდიქმნება აგრეთვე ერთი ნივთის მოძრაობა მეორე ნივთის მოძრაობად.

პირველი ბურთის მოძრაობას რომ მეორე ბურთის მოძრაობად გარდაქმნილიყო, კი არ შეჩერდებოდა, როდესაც დაეჯახა, არამედ მეორე ბურთთან ერთად გაჰქანდებოდა. მაგრამ მაშინ ხომ დაირღვეოდა ბუნების კანონი, ე. ი. დაიბადებოდა თავისთავად, უპირობოდ, ახალი ენერგია ე. ი. მოხდებოდა ის, რაც შეუძლებელია: ორი ყოველთვის მეტია ერთზე.

მაშასადამე, პირველი ბურთის მოძრაობა კი არ გარდიქმნება მეორის მოძრაობად, არამედ ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, რომ გაჩნდეს მეორე ბურთის მოძრაობა. იმავე დროს ხასიათი, ე. ი. მიმართულება, პირველი ბურთის მოძრაობისა, სულ სხვაა, ვიდრე მეორის მოძრაობისა.

მაშასადამე, პირველი ბურთის მოძრაობა განსხვავდება მეორის მოძრაობისაგან მიმართულებით, ხასიათით. პირველი მოძრაობა არ არის მეორე მოძრაობის ერთად ერთი წარმომშობი მიზეზი, არამედ არის ერთი პირობათაგანი მეორე ბურთის მოძრაობისა [illegible] ბურთის მოძრაობად, რადგან პირველის მოძრაობა [illegible] სხვა და ეს გარდაქმნა სასწაულისებური რამე იქნებოდა.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ თუნდ მარტო ერთი ბურთის ქანაობის სხვა და სხვა ფაზისების შესახებ: ერთი ფაზისი კი არა შობს მეორეს, როგორც მიზეზი შედეგს, არამედ წარმოადგენს ერთ პირობათაგანს შემდეგი ფაზისისათვის.

ამგვარად, რომ ამბობენ, ენერგიანი გარდიქმნებიან ერთმანეთადო, აქ ტერმინი „გარდიქმნებიან“ არ არის სწორი, ვერ ხატავს სინამდვილეს, რადგან ერთი ენერგია კი არ გარდიქმნება მეორე ენერგიად, არამედ წარმოადგენს ერთ ერთ პირობას, რომ დაიბადოს მეორე ენერგია. და, ცხადია როდესაც ეს მეორე გვარი ენერგია იბადება, იმ დროს პირველი, რომელმაც გამოიწვია მეორე, ჰქრება.

მაშ ერთი ენერგიის დაჯახება გამოიწვევს მეორე ენერგიას, ან ერთი ენერგიის დაბადებას თან ახლავს მეორე ენერგიის გაქრობა, განელება. ენერგიათა ამ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა რაოდენობითი მხარე, ე. ი. ენერგიათა შორის სუფევს, როგორც ვითარებითი, აგრეთვე რაოდენობითი დამოკიდებულება. ამგვარი დამოკიდებულება ამტკიცებს ბუნების ერთგვარობას, რადგან ვერც ერთი ენერგია ვერ შეუწყობდა ხელს მეორე გვარი ენერგიის წარმოშობას, რომ ნათესაობა არ ყოფილიყო მათ შორის.

რა არის ის საერთო, რომელიც აკავშირებს სხვა და სხვა ენერგიასა და სხვა და სხვა ნივთს ერთმანეთთან?

რაც უკეთ გამოვარკვევთ ელემენტთა და ენერგიათა ერთმანეთს შორის დამოკიდებულობას, მით უკეთ დავინახავთ მათ ნათესაობას, ერთგვარობას. შეიძლება ოდესმე აღმოჩნდეს, რომ რომელიმე ერთი ელემენტისაგან წარმოსდგება ყველა სხვა ელემენტი და ნივთი, როგორც, მაგალითად, რადიუმისაგან ჰელი, ნახშირბადის ატომებისაგან ნახშირი, გრაფიტი და ალმაზი, გოგირდის ატომებისაგან სხვადასხვაგვარი გოგირდი და სხ.

შესაძლებელი იქნება თუ არა მაშინ ამის თქმა, რომ არის რაღაც ისეთი [illegible] რომლისაგანაც წარმოსდგება ყველა სხვა ნივთიო? რასაკვირველია არა, რადგან აბსოლიუტი — რაღაცა უცვალებელია;

ის ელემენტი კი, რომლისაგან ყველაფერი წარმოსდგება ყველაფერზე უფრო ცვალებადი უნდა იყოს.

ავიღოთ ელემენტი რადი და მისი კორპუსკულებისაგან (ატომის ნაწილუკებისაგან) წარმომდგარი ელემენტი ჰელი. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მათი შედგენილობა ერთი და იგივეა? რასაკვირველია, არა, რადგან ხსენებული კორპუსკულების დამოკიდებულება სულ სხვაა ჰელის ელემენტში და სხვაა რადის ელემენტში. ნივთნი კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნაწილუკების დამოკიდებულების ვითარებით.

მეორე მხრით, უეჭველია, რომ ნივთთა შორის არის ნათესაობა, მსგავსება: უამისოდ არ იქნებოდა დამოკიდებულება, კავშირი მათ შორის. თვით სიტყვა „დამოკიდებულება“ შეიცავს და გულისხმობს ნათესაობას. და ამ მსგავსებას, ნათესაობას ვეგებულობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიკვლევთ და [illegible] დამოკიდებულებას.

მაშასადამე, რაც და უცვალებელის, დამოუკიდებელის, უპირობო აბსოლიუტის ნაცვლად მეცნიერება იძიებს დამოკიდებულებას მოვლენათა შორის და ცდილობს ცხად ჰყოს ამით ბუნების ერთობა.

ამგვარად ბუნებაში აბსოლიუტური, უპირობო არა არის-რა. არის მხოლოდ დამოკიდებულება მოვლენათა შორის. და არ არის ერთად ერთი მიზეზი, რომელიც შობს ყველაფერს, არამედ მოვლენანი ერთმანეთს საზღვრავენ, ერთმანეთს იწვევენ, ერთმანეთის პირობათ შეადგენენ, ერთმანეთზე დამოკიდებულნი არიან. მარქსი თვითონ ამბობდა, აბსოლიუტური, უპირობო არა არის-რა, ყველაფერი პირობითიაო, მაგრამ თავის ნათქვამს უარყო მით, რომ აღიარა: ეკონომიური საფუძველია, სხვა ყველაფერი ზედნაშენიო.

საინტერესოა, რით როგორ ასაბუთებენ მარქსისტები ამ დებულებას?! შეკრებენ მრავალ ფაქტს იმის დასამტკიცებლად, რომ ეკონომიურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში, და დაასკვნიან აქიდან: მაშასადამე, ისტორიის ღერძი ეკონომიური მხარეაო. ასე [illegible]

თავის თხზულებაში [illegible] შესახებ ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ეკონომიურია, არაეკონომიური არა არის-რა. ერთი სიტყვით მის თვალში სრულიად ჰქრება განსხვავება საფუძველსა და ზედნაშენს შორის და მაშასადამე, მისი მსჯელობა წარმოადგენს მხოლოდ ტავტოლოგიას, ე. ი. იმას ამტკიცებს, რომ ეკონომიური არის ეკონომიურიო.

მარქსს რომ თავისი დებულების ასეთი განმარტივება და არარაობად გრდაქმნა გაეგონა, ვგონებ, მისი ძვლებიც კი აკანკალდებოდენ საფლავში! ვფიქრობ, რომ პლეხანოვის მსჯელობა უკანასკნელი ლოღიკური აბსურდი, უაზრობაა, რომელიც შემცდარი დებულებისაგან გამომდინარეობს, და მარქსიზმი ამაზე უფრო ვეღარ დაქვეითდება?

სწორედ ასეთივე უფლებით შეუძლია მეისტორიეს განიხილოს ისტორია იდეათა განვითარების მხრით და დაასკვნას, იდეაა საფუძველი, დანარჩენი კი მხოლოდ ზედნაშენიო. მაგრამ ამგვარი მეთოდის ცალმხრივობა ხომ თავის თავად ცხადია.

მაშ პოზიტივისტური, დადებითი მეცნიერება ვერ აღიარებს რომელსამე ერთს ელემენტს, თუნდ ეკონომიურს, ისტორიის ღერძად, საფუძვლად, მთავარ მიზეზად. ეს შეხედულობა ფეტიშისტური, ანიმისტურია, ტლანქი მეტაფიზიკურია. და მართლაც! მარქსისტებმა სიტყვები „კაპიტალიზმი“, „კაპიტალი“ და სხ. განა რაღაც ფეტიშად არ გარდააქციეს? მათი აზრით კაპიტალი განა რაღაც ყოვლის შემძლებელი სულდგმული არ არის და ქვეყნის კულტურისა და განათლების საზომად განა მარტო ეროვნული კაპიტალის მოგებისა და მუშათა რაოდენობას არ აღიარებენ? დიაღ, მუშებს, ქარხნებისა და ფულის მექანიკურ შეკრებას, ერთად თავმოყრას, მეტ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე იდეიურ მხარეს, ე. ი. მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებას, თუმცა, ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც წინასწარი აზრით თვალს განგებ არ იხუჭავს, რომ ამგვარი შეხედულობა თვით მარქსიზმზედაც კი უფრო ცალმხრივია!

და ევროპის დიდმა ომმა, ამ უდიდესმა სოციალურმა ცდამ, მარქსიზმის თითქმის ყველა დებულება დაამსხვრია და გაცამტვერა, როგორც ბევრი სხვა ნაშთი [illegible]

ქი ჯანმრთელი ეყოლათ, მაგრამ უშვილო კი, ქალიც ჯანმრთელი გათხოვდა ჯანმრთელზედვე, რომელთაც მიეცათ: ქალი იდიოტი, ვაჟი გარყვნილი, სულით ავათმყოფი, ჯანმრთელი და დაბადებით ბრმა. ვინმე R-ს თვითონ ლოთს ჯანმრთელ ცოლთანა ჰყავდა: ლოთი ვაჟი, ლოთი ქალი, გარყვნილი; მის პირველ ვაჟს ლოთს მიეცა ქალი—როსკიპი, ბნედიანი, ლოთი, ხუთი ჯანმრთელი და ერთიც ქურდი.

როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ლოთობა და სულიერი სისწორე და სიფაქიზე ერთათ ყოვლად შეუძლებელია.

ლოთი ადამიანი მავნე წევრია საზოგადოებისთვის როგორც თავის გამხრწნელი გავლენით, ისე იმით, რომ ლოთი ადამიანი არის მიზეზი სულით, ზნეობით და ფიზიკურად გახრწნილი და გადაგვარებული შთამომავლობით.

ამერიკის ჩრდილოეთ შეერთებულ ერთ-ერთ შტატში შემოღებული იყო კანონი, რომლის ძალით ავაზაკებს კოდავდენ, რომ ამით საზოგადოება აეცდინათ ამ ავაზაკების მანკიერ შთამომავლობისაგან.

ლოთების წინამღდევაც მკაცრი ზომები უნდა იყოს მიღებული; საჭიროა მათი მოშორება და მოთავსება სულით ავათმყოფთა თავშესაფარში: მაინც და მაინც მათ უნდა აეკრძალოთ შეუღლება, რომ ამით არ გამრავლდეს სულიერი და ფიზიკური დეგენერატები.

ექიმი ბადრიძე.

P. S. შარშან გაზ. „იმერეთში“ ჩვენი წერილი იყო დასტამბული ღვინის მავნებლობაზე ის წერილი შეეხებოდა განსაკუთრებით იმას, თუ რა გავლენა აქვს ღვინოს ადამიანის ფიზიკურ მხარეზე ეს წერილი კი უფრო ადამიანის ზნეობრივ მხარეს ეხება.

ექიმი ბადრიძე.

ერუშეთი

შ. ამირეჯიბი მუდამ მასხრობის გუნებაზეა. მისი მიზანია, კარგი ოხუნჯის სახელი მოიხვეჭოს და ამისთვის იმასაც კი არ ერიდება, რომ საცინლად აიგდოს ყველაფერი, რაც ყოველ ქართველს წმინდათა-წმინდად უნდა მიაჩნდეს.

გვყავდენ ამ ჯურის მწერლები, რო- [illegible] ტურული გოლიათები იყვნენ, მაგრამ ქართულმა ცხოვრებამ ისინი, როგორც შეუფერებელნი, მავნებელი მეტხორცნი, შეუბრალებლად გარიყა და ჩაილურის წყალმა მათი ხსოვნა უკვალოდ წაიღო.

რა გნებავთ, ბ. შალვა ამირეჯიბო? რას ემსახურებით?! გაქვთ რამე გულისთქმა და მიზანი?! აგერ მეორე წელიწადია, სწერთ, და ამ ხნის განმავლობაში სთქვით რამე თუ არა ისეთი, რომ მკითხველის გულსა და გონებას ჩასწდომოდა? გულწრფელად აღიარეთ, რომ არა. და ვერც არაოდეს იტყვით რასმე ასეთს.

მე რომ თქვენ გიცნობთ, არა მგონია, რაც არა გისწავლიათ რა, იმაზე მეტი კიდევ ისწავლოთ რამე, მაგრამ გული არ მაძლევს ნებას არ გირჩიოთ ერთი რამე, რაც ყოველი პატიოსანი ლიტერატორისთვის სავალდებულოა: არის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საოხუნჯო და სამასხრო მასალად ვერ გამოდგება.

ასეთია სხვათაშორის საკითხი ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა ურთიერთობისა.

მახსოვს, ერთხელ თქვენ მითხარით: ყარსის ოლქის გამაჰმადიანებული ქართველების საქართველოსთან ადმინისტრაციული შემოერთების საკითხი პოპულიარული არ არის, ამიტომ, ჩვენთვის არც კი არსებობსო.

და, დღესაც რომ ამავე აზრს ადიარებთ, სჩანს თქვენი მასხრული წერილიდან, რომელსაც კომიკური სათაური აქვს: „ჩიმბორაზო სისულელისა“.

მერე რასა სთვლით სისულელედ? ორს რასმე: ჯერ იმას, რომ ერუშეთის საბოქაულო, როგორც ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული საქართველოს ნაწილი, გამოვაცალკევე, და შემდეგ იმას, რომ ეს პატარა საბოქაულო—საქართველოს ნაწილად აღვიარე.

რასაკვირველია, ღირსი არა ხართ, რომ არსებითად გიპასუხოთ, მაგრამ სამწუხაროდ, იძულებული ვარ, რადგან ბევრია ჩვენში, რომელსაც ადვილად აიყოლიებს ხოლმე ლიტერატურული მასხ- [illegible] გაეწყობა!

არდაგანის ოლქში ოთხი საპოლიციო ნაწილია: არდაგანისა, ფოცხოვისა, ჩილდირისა და ღელისა. ,,ძველი სახელწოდება საქართველოს ამ კუთხისა შეიცვალა და ერუშეთ, არტაან, კოლა და ფოცხოვის მაგიერ არდაგანის ოლქი გვიჩვენეს'' (იხ. ალექს. ფრონელის ,,დიდებული მესხეთი'').

მეორე მხრით, ოფიციალურ სტატისტიკაში (კავკასიის კალენდრებში) ერუშეთის საბოქაულო ცალკეა გამოყოფილი (ზარუშატსკი უჩასტოკ). და, როდესაც ქართველ მაჰმადიანთა სტატისტიკას ვიკვლევთ, ჩენდა უნებურად უნდა ვიხმაროთ ოფიციალური ენა. ერთი სიტყვით იძულებულ ვართ ოფიციალურ სახელწოდებათ ანგარიში გავუწიოთ, მით უფრო, რომ ამ ოფიციალურ სახელწოდებათა ქართულად გადათარგმნა ძნელი არ არის. და, თუ ჩემ სტატისტიკურ გამოანგარიშებაში ერუშეთის საბოქაულო ცალკე მაქვს ნახსენები და არდაგანის ოლქი ცალკე, მხოლოდ მიტომ, რომ ამით ჩემი გამოანგარიშება დამეპირდაპირებია ოფიციალური გამოანგარიშებისათვის. რა არის მერე აქ, ბ. შ. ამირეჯიბო, სასაცილო ან სამასხარო? და სად არის აქ სისულელე?

მაგრამ შეიძლება ის მიაჩნია ბ. შ. ამირეჯიბს სისულელედ, ერუშეთი რომ საქართველოს ნაწილად აღვიარე?!

მაგრამ აი რასა სწერდა ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე 1877 წელს.

,,საქართველოს ვხედავთ ორად გაყოფილს რუსეთსა და ოსმალეთს შორის... ოსმალეთს უჭირავს გურიის სამთავროსა და საათაბაგოს ნაწილები: ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ერუშეთი, ლივანი (ძველი ლიგანი) და ჭანეთი, ანუ ლაზისტანი... მთელი ოსმალოს საქართველო დასახლებულია უმეტესად ქართველებით და ჭანებით... ქართველები ლაპარაკობენ ქართულად და ჭანები მეგრულად... ერთობა სისხლისა დღევანდლამდე ახსოვთ. იციან, რომ ისინი ქართველის ტომისანი არიან... ჩვეულება, ხალხის რწმუნება, ყოფა ცხოვრება იგივეა, რაც ქართლ-კახეთში. ძველი ეკლესიების პატივის-ცემა და დღესასწაულის გადახდა ისევ დარჩენილა... ქართული ენა თითქმის შეუცვლელი აქვთ''.

დასასრულით ილია ამბობს:

„არ გვაშინებს ჩვენ [illegible] გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთ, დღეს მაჰმადის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ.

მაშ, ბ. შ. ამირეჯიბო, ის კუკი, რომელსაც აღმოუჩენი საქართველო, სხვათა შორის ერუშათშიაც, ილია ჭავჭავაძე ყოფილა ან, უკეთ ვთქვათ, ნ. ყაზბეგი და დიმიტრი ბაქრაძე, რომელთაც იმოგზაურეს 1873 წელს ოსმალეთის საქართველოში და გვიამბეს იქ ნახული და გაგონილი! თუმცა, საკმაო გამბედაობა რომ გქონოდათ, განა მათაც კი არ აიგდებდით საცინლად?! განა თქვენთვის არის რამე ისეთი წმინდათა-წმინდა, რომლის შეგინების წინაშეც კი შედრკებით?! არა მგონია!

ამოვსწეროთ კიდევ ცნობები ალექსანდრე ფრონელის ხსენებული წიგნაკიდან: „მტკვრის სათავის ქვეყნები, ან ზემო ქართლი, ერუშეთი, კოლა და არტაანი ძველის ძველად ერთ საერისთოს შეადგენდა... ერუშეთის (ქალაქნი) არიან: ველი, წყაროსთავი, ვაშლობი, კანარბელი, კართანაყევი და სხ. ისტორიული სამღერეთის სახელი აღარ შენახულა... ნაქალაქევს იჯდა ეპისკოპოსი“.

რამდენად ახლოს არის საქართველოს ჩრდილო ნაწილზე არდაგანის ოლქი, სჩანს იქიდან, რომ ფოცხოვის სოფელ „დამავლედან ახალციხემდე ძლივს იქნება ოცდა ათი ვერსი. ამ სიახლოვის გამო იქაურებს დიდად ეადვილებათ ახალციხესთან საქმის დაჭერა, მაგრამ, რაკი ფოცხოვი ადმინისტრაციულად არტაანზეა მიწერილი, იქ უნდა იარონ და იქიდან **ყარსს**. ეს კიდევ რაა! ვისაც საქმე გაუჩნდება საოლქო სასამართლოში, ერევანს უნდა წავიდეს!“ (в, გვ. 181).

ილია ჭავჭავაძის წერილიდან სჩანს, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ხსენებული კუთხის მცხოვრებნი კიდევ ლაპარაკობდენ ქართულად. დღეს კი, როგორც ალექსანდრე ფრონელი და ზაქარია ჭიჭინაძე მოწმობენ, ქართული მათ თითქმის აღარ იციან. მაგრამ აქიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ისინი ყარსის ოლქის დანარჩენ ნაწილთან და ერევნის გუბერნიასთან უნდა იყვნენ ადმინისტრაციულად შეკავშირებული! პირიქით, ჩამომავლობით, ნათესაობით, ზნეჩვეულებით, ადგილმდებარეობით, სარწმუნოებითა *) და გეოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობით ისინი — ჯავახეთისა და სამცხესთან უნდა იყვნენ შეერთებული.

რაც შეეხება ჩვენ შორის [illegible] ერთგულ შეერთებას, ამის შესახებ აი რას ამბობს ალექსანდრე ფრონელი:

„მოხდება ის, რაც მდინარეს ემართება ხოლმე: იგი ნარიყალს არა ჰკარგავს. ცოტაოდენი სიმხნევე—და დაფერფლილი ეროვნული აზრი ხელ-ახლა აყვავდება“.

მაშ ალექსანდრე ფრონელი, ილია ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი და მრავალი სხვაც ჩემთან ერთად არიან. და გაბედავთ და უწოდებთ, მათაც, ბ. შ. ამირეჯიბო, სულელებს?!

თქვენ საქვეყნოდ აცხადებთ, ვითომ მე მოსყიდული ვარ და „იმერეთი“ ბ. ი. ოცხელის პირად ინტერესებს ემსახურება. ამ საზიზღარი წილის წამებისთვის არც სამართალში გაგიწვევთ და არც ხმას გაგცემთ თქვენა და თქვენს ამხანაგს, რადგან დაუჯერებელს [illegible] არავინ დაიჯერებს და ყველა, ვინც კი მიცნობს, მოგაძახებს „ფუი! ფუი!“

მერე კიდევ, რა ნება გაქვთ, ბ. შ. ამირეჯიბო, გენრიხ გეინეს რომ იმოწმებთ?! რა თქვენი ხელ წამოსაკრავია? ვინ ის, რადიკალი, თავად აზნაურობისა და კლერიკალების დაუძინებელი მტერი, თავისუფლების ტრიბუნი, ინტერნაციონალისტი, საქვეყნო დარდის მატერებელი და მკვირცხლი და გენიოსური ნიჭით დაჯილდოებული პოეტი და პუბლიცისტი, და ვინ თქვენ, მძინარა, მცონარა, უდარდელი, უიდეო და უიდეალო მწერალი, უკეთ რომ ვთქვათ კი, ერთი კუდაბზიკა ქართლელი აზნაური! მაშ, კეთილ ინებეთ და ჩემზე რაც სთქვით, უკანვე დაიბრუნეთ. მაგრამ ერთიც კიდევ. აი რა სთქვა გეინემ ერთ თავის პატარა ლექსში — „მოხეტიალე ვირთაგვები“ — თქვენისთანა ხალხის შესახებ: „ვირთაგვა ორგვარია, მაძღარი და მშიერი. მაძღარი სახლში ბინადრობს ნაგავში, მშიერი კი დაძრწის. მას ვერაფერი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს, ვერც მთა, ვერც მდინარე, ვერც ზღვა. ბევრი იღუპება, მაგრამ ვინც [illegible] უშიშრად მიიწევს წინ. [illegible] არც ავტორიტეტი, არც იდეა; ვერ წარმოუდგენია, უკვდავი სული რომ ალემატება კუჭს, და სულ იმას ფიქრობს, სად რა ვჭამო და ვსვაო...“

და, თუ რა გიჯერიათ, კვლავაც გაგახსენებთ თქვენს დამახასიათებელი ლექსებს.

ვასილ წერეთელი.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“-ს საქმე სასამართლოში

(ქუთათურ მწიგნობრის თავგადასავლიდან).

დღეს, 3 აგვისტოს ქუთ. მომრიგებელ მოსამართლის **შახბაგოვის** კამერაში ხელმეორეთ ირჩევა ქუთათურთა ზნე-ჩვეულების აშკარათ დამახასიათებელი საქმე ჩვენში ბეჭვდითი სიტყვის, მწიგნობრობის გავრცელების წარმოებაში. ბრალდებულათ ამ საინტერესო საქმეში არის ჩვენში ბეჭვდითი სიტყვის გავრცელებით ცნობილი ისიდორე კვიცარიძე, რომელსაც ბრალს დებს 136 მუხ. ძალით მისივე კანტორის მეგაზეთე მიხეილ დავითისძე ქეიშვილი.

მკითხველი საზოგადოებისათვის საინტერესოა გაიგოს თუ, როგორ ამოყო თავი სასამართლოში თავის თავათ ამ უბრალო საქმემ.

როგორც სჩანს სასამართლოს „საქმი“-ს ქაღალდებიდან, იგი აღუძრავს აქ პოლიციური ოქმის ძალით კანტორა „იმერეთი“-ს ყოფილ მეგაზეთე მიხეილ ქეიშვილს, რომელმაც თავისივე ამხანაგ კირილე კუკუხიძესთან ერთად ამ 8—9 თვის წინეთ გაიტაცეს და მიითვისეს კანტორის გაზეთების ფული ას მან. მეტი და დღესაც ეს ფული მათზე ირიცხება.

იმ დღიდან მოყოლებული ხსენებულ ქეიშვილს და მისი სიტყვით გადაბირებულ რამდენიმე მეგაზეთეს ქუთ. რკინის გზის [illegible] გამოაქვთ ბაზარში გასაყიდათ გაზეთები კანტორიდან გატაცებული ფულით და ამ კულტურულ საქმისთვის შეუფერებელ საშუალებით ებრძვის კანტორა „იმერეთ“-ს, უკვე კაიხნის მოპოვებულ კეთილ სახელს და სხვა თავისებურ ამყოლ-დამყოლებთან ერთად ლამობენ ამ საქმისათვის სამაგალითოდ მოწყობილ კანტორის მოსპობას, დახურვას, რომ მერე თითონ აწარმოვონ ეს საქმე ქუჩაში ქუჩურად.

ასეთი მიზნით კაიხანია გამოსჭვალულნი არიან ქუთაისსა და მის გარეთაც „იმერეთი“-ს მტერ-მოყვრები და მათში მეტათ ტუტუცი და უზრდელი ქეიშვილი თავხედურათ პირველობს, წვრილფეხა თავის ამყოლებს ხელმძღვანელობს და კანტორის მალულ მტრებისაგან რჩევა-დარიგებებს ღებულობს.

„იმერეთი“-დან გაქცეულ, თუ სიგ[illegible]ხისათვის დათხოვნილ მეგაზეთეების [illegible] თავაშვებული თარეში ხდება ქალაქის შუაგულში, ბულვრის და თეატრის მიყოლ-მოყოლა, მთელი ქუთაისის საზოგადოების თვალწინ; ყოველი აქ მიმავალ-მომავალი მათი სიგლახის მაყურებელი და მოწმეცაა. წარსულში მათი ნამოქმედარი თვით „იმერეთი“-ს გამგის მიერ უტყუარი ფაქტებით არის აღწერილი ბ. „იმერეთი“-ს ამ წლის იანვრის №№ [illegible], 9, 10 და 11-ში, სადაც ქუთათური მწიგნობარი თავის უმადურ თავგადასავალს გულახდილათ მოგვითხრობს.

ქუთათური დამკვირე მკითხველი კაიხანია უცდიდა, თუ როგორ იმართლებდენ თავს გაზეთისავე საშუალებით კანტორის ყოფილი მეგაზეთეები ქეიშვილ—კუკუხიძე და კომპ. ამ საგაზეთო მკაცრ ბრალდებისაგან, რომელიც ზემო მოყვანილ გაზეთის №№-შია აღნიშნული. მაგრამ გადის აგერ შვიდი თვე და არც კანტორიდან გაქცეულ მეგაზეთეებს კრინტი არ დაუძრავთ გაზეთის ფურცლებზე და არც მათ ამ საქმისადმი შურიან-ღვარძლიან წამქეზებელთ.

დღეს კი შვიდი თვის თავზე რას ვხედავთ?!. ვხედავთ იმას, რომ ერთ იმათგანს მ. ქეიშვილს სხვების წაქეზებით დ ხელმძღვანელობით შეუქმნიათ სასამართლოში დღისათვის დანიშნული „საქმე“. ეს საქმე კი მის მიერ შემდეგნაირათაა აღძრული და ნაწარმოები.

კანტორა ,,იმერეთი'' აგერ 15 წელიწადია ქუთაისის და პროვინციის [illegible] ერთათ იწერს სატახტო ჟურნალ-გაზეთებსაც [illegible] გაზეთები ნამეტურ ამ ომიანობის ხანაში ხშირათ უკლდება თუ რკინის გზის მიზეზით და თუ ქალაქებში დაინტერესებულ პირთა მეოხებით და მოხერხებით. ამიტომაც კანტორაში ეს გაზეთები ხშირად არ არის გასაყიდათ. ამიტომ კანტორას სატახტო გაზეთების გამოწერით მუდამ ზარალი აქვს და თავის მინებება კი უხერხულათ მიაჩნია...

სხვა ხშირ ამგვარ შემთხვევათ შორის წელს 1 იანვრის საახალწლო (ყველასათვის საინტერესო) ჟურნალ-გაზეთებიც კანტორას არ მიუღია, დაეკარგა, და როგორც გამოირკვა სადგურზე შეკრებილ ცნობებით, ეს გაზეთები იქიდან ვიღაცას მოტყუებით წაუღია და რამდენიმე ბაზარში დაკლებულ ფასებში (,,სლ. ი ჟიზნი'', „ოგონიოკ“ 5 კაპ.) გაუყიდია. კანტორის გამგესაც მეტი აღარა დარჩენოდა ეჭვი ისევ თავის ყოფილ მეგაზეთეებზე მიეტანა. ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ წარსულ წელსაც ,,იმერეთი“-ს მეგაზეთეებმა, ოთხმა 12—16 წლის ახალგაზდებმა (ებრაელებმა) კანტორა გატეხეს უკანა ოთახიდან და წაიღეს რკინის კასსა ფულით და საბუთის ქაღალდებით, რაც პოლიციამ იმავე დღეს იპოვა და დამნაშავეები სამართალში მისცა; ამისთვის ოთხივეს სათითაოთ 3—6 და 8 თვის ციხე მიუსაჯეს, რაც მათ უკვე მოიხადეს და დღეს თავისუფალი არიან. ეს ნამდვილ სასჯელ მონახდი ახალგაზდები დღეს კანტორას სათოფეზედაც აღარ ეკარებიან გრძნობენ რა თავიანთ ზნეობრივ დანაშაულს მის წინაშე.

ხოლო დღეს კანტორა ,,იმერეთი''-ს გამგემ საახალწლო გაზეთების მითვისებაში ისევ თავის ყოფილ და გაქცეულ მეგაზეთე მიხ. ქეიშვილს დაადვა ხელი და 11 იანვარს უბნის ზედამხედველს განუცხადა, (რაკი მოპარვიდან გაზეთების გამოგზავნის შესახებ პასუხი მოსული ქონდა), მისი ბინა გაეჩხრიკა [illegible] იქ კანტორის გაზეთები ან [illegible] ნიშნები [illegible] მოჩნდესო ამასთან [illegible] ზედამხედველ **ბოლდასაროვს** განუცხადა და რამდენიმეჯერ გაუმეორა გზაში, რომ თუ კი მას (ქეიშვილ[illegible] [illegible] აღმოჩნდება ჩემი გა-
[illegible] ნიშნებს ენახა
[illegible]
თა[illegible]

11 ი[illegible] თანახმად სიტყვიერი გ
ცხადებისა ზედამხედველმა ბოლდასაროვ
მართლაც გაჩხრიკა ქეიშვილის ბინა,
გრამ ,,იმერეთი''-ს საახალწლო ჟურნა
გაზეთები საეჭვო მეგაზეთეს ვერ აღმო
ჩინა და ამის ოქმიც შეადგინა. წინა დღ
ბში კი კანტორის უპეჭდო ჟურნალ
ბი ბაზარში იყიდებოდა გაიაფებულ
სებში.

დაინტერესებულმა ქეიშვილმა ბოლ
საროვის ოქმის შემდეგ რაც აცვა, ა
აცხელა, არ მოუცადა ოქმის ბოლ
და დაიწყო ქუჩა ქუჩა კანტორის გამ
დედ-მამის ხსენებით ლანძღვა-გინება
მუქარები: მაცალოს ამ მ... თუ ციხ
არ ამოვაყოფინებ ცხვირს და სხ. მისთ

ხოლო როცა ბოლდასაროვის მიერ შ
გენილი ოქმი მომრიგებელ მოსამართლ
სისხლის სამართლის კამერაში უსაფუძ
ლოთ იცნეს და „За отсутствіемъ со
става проступка пріобщилъ къ на
ряду“,—კანტორის კრიჭაში ჩამდგარ
მტაცებელ ქეიშვილს, თავის თანამოაზრ
ხელის შემწყობების და „იმერეთი“-ს მ
სპობით დაინტერესებულ პირების წაქეზ
ბით, გამოუტანია თებერვალში „მომრიგე
ბელ მოსამართლის გადაწყვეტილების პ
რი და პროკურორთან შეუტანია საჩივ
რი ვითომდა უსაფუძვლოთ შეურაცხყ
ფაზე, რისთვისაც მოუთხოვნია „იმ
თი“-ს გამგის ის. კვიცარიძის პასუხ
ბაში მიცემა 136 მუხ. ძალით.

11 იანვრიდან მოყოლებული ან
მეს“ გამოუძიებია ორი მომრიგებელ
სამართლის: რაზმაძის და შახბა
ხელში, პროკურორის, უმთავრეს პ
ციის და მის სამივე განყოფილების
წიგნებში. ყველა ამ დაწესებულებ
გამართულა „отношеніе“—„рапортъ
ების მიწერ-მოწერა ამ ჩირის ფასათ ღ
რებულ „საქმი“-ს გამო. ამრიგათ დღ
ის. კვიცარიძე ხელახლათ საქმის ა
ვრის გამო ისევ სამართალშია მი
ლი და იგი დღეს, ორშაბათს ი
მოსამართლე შახბაგოვის კამერაში
ვინ იცის როგორ დაბოლოვ
[illegible]
მომსწრეა დღეს ჩვენში ბეჭვ
ვის არა მარტო წარმომადგენ
[illegible] თანგარო, გულწ
ენერგიული გამვრცელებელი
შაულობაა, რომ არც პრესა,
ყველაზე უფრო შეფერის
პიონერების გამოქომაგება და
გადოება ცხოვრების ამგვარ
ფაქტებს არავითარ ყურადღე
ყრობს.

თანამგრძნობი მკითხველ

ღია წერილ

ბ. ი. ცინცაძეს.

თქვენს „ღია წერილში ბ· დ ოცხელთან“ აცხადებთ, ვითომ ახლანდელი „იმერეთი“ ძველი „იმერეთის“ გაგრძელება იყოს, და თქვენი სიტყვების დასამტკიცებლად ჩემსავე წერილს იმოწმებთ. სცდებით. მე მხოლოდ იდეური გაგრძელების შესახებ მოგახსენებდით. ფინანსიური მხრით კი ძველი „იმერეთის“ გაგრძელება „სამშობლოა“, რადგან „იმერეთის“ ქონება „სამშობლომ“ მიითვისა (მაგალ., აგენტებზე დარჩენილი, ხელის მომწერთაგან, განცხადებათაგან, ბანკიდან და სხ. შემოსული ფული ბინა, ინვენტარი). ახლანდელ „იმერეთს“ ძველი „იმერეთის“ ქონებიდან ერთი კაპიკის სადირალიც არა წაულია რა და ამ ჟამად ერთად-ერთ ლიტერატურულ კოლეგიას წარმოვადგენ მე, ერთად ერთ საგამომცემლო კოლეგიის—ერთი ასოთამწყობი, რომელიც ერთსა და იმავე დროს კიდევაც აწყობს, კიდევაც აგზავნის, კიდევაც ატარებს, სესხულობს, ანგარიშობს და სხ. მაშ, ფაქტიური რედაქტორ-გამომცემელი ორად-ორი ვართ. და, იმდენ დღეს არაფერი გეტკინოსთ, სანამ ვასილ წერეთელმა და იმ ასოთ ამწყობმა თქვენ ვალები არ გაისტუმრონ და სხვათა შორის არც არაფერი ბ. დ. ოცხელს გადაუხადონ უეკვივალენტოდ.

ვასილ წერეთ

---

*) არდაგანისა და ოლთისის ოლქების ქართველი მაჰმადიანები სუნიტები არიან, ერევნის გუბ. და ყარსის [illegible] დანარჩენი ოლქების თათრები კი—შიიტები.

რედაქტორ